კონსტრუქციული დასკვნა

ობიექტი:
ქ.თბილისი, ქუჩა ლუბლიანა, №2/6, ქ.თბილისი, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის, ნაკვეთი 09/24, (ს/კ 01.13.02.009.042)

საგანი:
მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება ნაკვეთზე არსებული შენობის დემონტაჟის პროცესში

სადემონტაჟო შენობის ნაკვეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ბელიაშვილის ქუჩა. სამხრეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება ტერიტორია საკადასტრო კოდით 01.13.02.009.013 და მისამართით ქალაქი თბილისი, ლუბლიანას ქუჩა №13, მიხეილ ჭიაურელის ქუჩა №6. აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობს 31 შენობა-ნაგებობა, რომელთანაც სადემონტაჟო შენობასთან უახლოესი განლაგებულია 50 მეტრში. სადემონტაჟო შენობას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.13.02.009.028 (მუნიციპალიტეტის საკუთრება) შენობა-ნაგებობების გარეშე.

სადემონტაჟო შენობას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.13.02.009.025 და მისამართით ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №74. ნაკვეთზე, უშუალოდ წითელ ხაზთან განლაგებულია 8 ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა (სარესტორნო), სადემონტაჟო შენობამდე მინიმალური დაშორებით 5 მეტრი. კონსტრუქციულად წარმოდგენილი არიან არასისტემური ტიპის მზიდი სტრუქტურებით: საძირკვლები ლენტური და წერტილოვანი; კედლები აგურის და ხის; დახურვები ხე და გაგლინული ლითონი. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მონაცემებით შენობების დაფუძნება იქნება ყავისფერ თიხებზე, ხვინჭის და ხრეშის ჩანართებით. ვიზუალური დათვალიერებით აღნიშნული შენობა-ნაგებობების მდგრადობის მაჩვენებლები შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსახილველი ერთსართულიანი შენობის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი უნდა განხორციელდეს გრძელისრიანი ექსკავატორით, "კოდალა"-ს დანადგარით. მიუხედავად იმისა, რომ სადემონტაჟო შენობას არ გააჩნია კონსტრუქციული კავშირი მომიჯნავე შენობა-ნაგებობებთან, რეკომენდებულია "კოდალა"-ს დარტყმის ენერგია არ აღემატებოდეს 2,5 ათას J (ჯოულს).

შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე.

ექსპერტი,
მშენებლობის ინჟინერ-კონსტრუქტორი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი. ე. წოწერია

თბილისი 18-02-2020